გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

04 ივლისი 2024

N 2-610

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „REFCO“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის 01 მაისის N2-483 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2024 წლის 01 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „REFCO“-მ და არტურ მირზახანიანმა და ითხოვეს შპს „REFCO“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) 1 360 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის არტურ მირზახანიანზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „REFCO“-სა და არტურ მირზახანიანის 2024 წლის 01 ივლისის N18688 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „REFCO“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის 01 მაისის N2-483 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „REFCO“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 245592906) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000055) შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 12 240 კგ;
- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 4 354,235 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 4 520კგ;
- დიფთორმეთანი (HFC-32) – 500კგ;
- ქლორდიფტორმეთანი (HCFC-22) – 1 360კგ.“

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „REFCO“-ს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „REFCO“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თენგიზ ნასარიძე

მინისტრის პირველი მოადგილე - მ.შ.